პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 272 (13656)

ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მშენებლობის ქარხნის კომუნისტური შრომის ამწყობ საამქროში კარგი სახელით სარგებლობს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადა.

სურათზე: ბრიგადირი ბ. გელაშვილი (მერე მარცხნიდან) და მისი ბრიგადის წევრები მ. ოსავა, ვ. კალუეა, გ. კვანტილაშვილი, ჯ. რეხვიაშვილი, პ. შებეტოვი, ი. პეტროსიანი და ნ. გულაღაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

საიუბილეო წელი და ჰრეშა

ყოველ საღამოს, როცა ცვლის შემ- ... ქარხნიდან შინ მოვდივარ, ვხვევ კა- ... ბინეტის მორიგ ფურცელს, როშელ- ... დაბეჭდილია „დიდი ოქტომბრის ... ალისტური რევოლუციის ორმოცდა- ... წელი". გონებაში წარმოშობდა- ... ხატვიფრო საამქროს მალები, სა- ... ვმუშაო, სწორედ იმ საამქროსი, ... ოქტომბრის პირველ წელს გამა- ... ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. აქ ... ამშენება დიდი ოქტომბრის მეხუ- ... წლისთავის წინ მიიღეს წერილი ... ლენინისადმი, რომლის პასუხად ... წლის 7 ნოემბერს მან გამოუგზავნა ... ებს სადღესასწაულო მილოცვა, უსუ- ... მათ წარმატებით მუშაობა. ეი ახლაც ... ელი ჩვენგანი დამკვრელური შრო- ... ცდილობს გაამრავლოს ილიჩელთა ... ლენინი რევოლუციური, სახალხო ... შრომითი ტრადიციები. ამა სხვანაი- ... როგორ იქნება? საბჭოთა სახელმ- ... ოს ომმავალი 50-ე წლისთავი ხომ ... ნი საკუთარი, მუშური დღესასწაუ- ...."

ასე წერს გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვა- ... დაბეჭდილ წერილში ვლადიმერ ... ილიას-ძის სახელობის ქარხნის ზეინკა- ... მერკულოვი. მოსკოველი მუშის ... ნობები და ფიქრები მახლობელი, ... ებია თვითეული საბჭოთა ადამია- ... თვის. მთელი ჩვენი ხალხი ცდილობს ... დეს თავისი სოციალისტური სახელ- ... ოს ორმოცდამეთე წლისთავს კე- ... ოს საქმეებით, ახალი მიღწევებით.



ბუნებრივია, სა- ... ოვანი იუბილე- ... ვის მზადებასთან ... ავშირებული მა- ... ები სულ უფრო ... მეტნელოვან ად- ... ს იკავებენ გაზე- ... ების და ჟურნა- ... ების ფურცლებზე.

ოფისა და ტელევიზიის გადაცემებში. ... ლენინგრადელი პრესის მთავარი თემა ... XXIII ყრილობის გადაწყვეტილე- ... ების განხორციელება, სოციალისტური ... ობრება ხუთწლედის პირველი წლის ... ების წარმატებით შესრულებისათვის, ... ოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ... ულად შეხვედრისათვის. „ლენინგ- ... ოსკოვსკაია პრავდა" ყოველ ნომერში ბე- ... ს ამ ქალაქის — დიდი ოქტომბრის ... ის საწარმოთა შრომითი საქმეების ... ანეს, მოგვითხრობს ოლქის მრეწველ- ... ებისა და სოფლის მეურნეობის მშრო- ... თა ახალ წამოწყებებზე. ამ გაზეთის ... ყველი მასალა, ისევე როგორც „მოს- ... ოსკოვსკაია პრავდის". გამოსვლები, აშუ- ... ს მოსკოველთა და ლენინგრადელთა ... დიციულ შეჯიბრებს. სახელოვანი ... ოთავის, კომუნისტური შრომისათვის ... ობის აღსანიშნავი სოციალისტუ- ... ჯიბრების თემა ხშირადაა ყალიბ- ... ფდა „უკრაინის", „სოვეტსკაია ბე- ... ლორუსიის", „ზარია ვოსტოკას" და სხვა ... ბლიკური და საოლქო გაზეთების ... ფურცლებზე.

ასახსოვრულია, რომ პრესა არა მარტო ... ებს მკითხველებს ახალ საწარმოო ... ებებს, არამედ აგრეთვე ცდილობს ... ეოს სოციალისტურ ვალდებულება- ... ებს ეკონომიური მხარე. თვითეული ... ელის დაინტერესება იმით, რომ ... ა წარმატებით შესრულდეს. მართა- ... ჯერ კიდევ ცოტა როდი იბეჭდება ... ფორმაციო მასალები, რომლებიც ... ტდ. გვიჩვენებენ მოწინავე გამოცა- ... ებას, ახალ წამოწყებათა ეკონო- ... ურ ეფექტიანობას, მაგრამ ბევრი გა- ... ისათვის დამახასიათებელია მისწრა- ... ა უფრო ღრმად, უფრო საფუძვლი- ... ად გაუშუქონ შეჯიბრება, მშრომელ- ... ინიციატივა ეკონომიური რეფორმის ... ებში. პრესის გულმოდგინე ყურა- ... ების ღირსი არიან თვით საიუბილეო ... ს შრომითი ვახტის მონაწილენი — ... ები, კოლმეურნეები, სპეციალისტე- ... შემოქმედებითი ინტელიგენციის წა- ... მადგენლები. საჭირო სისტემატუ- ... ვაქვეყნებდეთ მკაფიო, მღელვარე ... ვებებსა და მოთხრობებს დადებითი ... ოდელების შესახებ, იმ ადამიანების ... ახებ, ვისი ენერგიითა და შრომითაც ... ციელდება ხუთწლედი.

... ესა სულ უფრო მეტ ადგილს უთ- ... ს პუბლიკაციებს, რომლებიც აშუქე- ... კომუნისტური პარტიის ხელმძღვანე- ... ოთ ჩვენი ხალხის შიერ ამ ნახევარ ... უნელი განვლილ გმირულ გზას. შე- ... ება დავასახელოთ, მაგალითად, „ოქ- ... ბრის ფურცლები" „იზვესტიაში", „ლენინგ- ... ბრადსკაია პრავდის" ბევრი გამო- ... ა. რევოლუციის, პირველი ხუთწლე- ... ა სამამულო ომის ვეტერანთა სტა- ... ები და მოგონებები რესპუბლიკურ ... საოლქო გაზეთებში. ეს ძალიან საჭი- ... და სასარგებლო საქმეა. ამასთან ერ- ... რიდაქციების ამოცანაა უნარიანად შეიახსონ ისტორიული დოკუმენტების, მოგონებების პუბლიკაცია მკაფიო პროპაგანდისტულ სტატიებთან.

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ ჩვენმა სამშობლომ პირველმა გაკაფა სოციალიზმის გზა. სტატიებსა და სხვა პროპაგანდისტულ გამოსვლებში საჭიროა გავიზაროთ ჩვენი მიღწევების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, ვუჩვენოთ, თუ რაგორ გადაქცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა მუშათა კლასმა ჩამორჩენილი ქვეყანა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, როგორ მიიყვანა პარტიამ გლეხობა, ახორციელებდა რა კოოპერირების ლენინურ გეგმას, საკლმეურნეო წყობილების გამარჯვებამდე, მეცნიერული, ტექნიკური და კულტურული პროგრესის რა მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა კავშირმა ამ ნახევარ საუკუნეში.

სწორად იქცევა ბევრი გაზეთი, როცა მკითხველებს უამბობს, თუ რა მუშაობას ეწევიან პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ომმავალი 50 წლისთავისათვის. პრესის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად შეხვდებით ცნობებს ლექციებისა და ბოხსენებების შესახებ, მუზეუმებში გამოფენებისა და ახალი ექსპოზიციების შესახებ, ახალგაზრდობასთან ვეტერანთა შეხვედრების შესახებ. ასეთი პუბლიკაციები უნდა ვაწარმოოთ რეგულარულად და ფართოდ ვუჩვენოთ იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის საუკეთესო გამოცდილება.

ფრიად საჭიროა აგრეთვე მუდამ მოვუთხრობდეთ მკითხველებს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დიდ ზრუნვაზე მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, თვით მშრომელთა აქტიურ მონაწილეობაზე მშენებლობაში და ქალაქად და სოფლად კულტურის დაწესებულებათა საქმიანობის სრულყოფაზე.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის მზადება, მისი გაშუქება პრესაში, რადიოგადაცემებსა და ტელეგადაცემებში უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, რომელიც მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას, ჟურნალისტურ ოსტატობას, დიდ ორგანიზატორულ მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ ამ ცოტა ხნის წინათ მოიხმინა ვოლოგდის გაზეთ „კრასნი სევერის" რედაქციის ანგარიში. აქ შედგენილია საიუბილეო წელს მუშაობის ვრცელი და მრავალმხრივ საინტერესო გეგმა. მაგრამ, როგორც განხილვამ ცხადყო, რედაქციამ უფრო გულდასმით უნდა მოიფიქროს საქმის ორგანიზაციული მხარე. გაზეთის გეგმაში წამყვანი ადგილი უჭირავს მოგონებებსა და სხვა ისტორიულ მასალებს, ხოლო ოქტომბრის დღევანდელი დღე, ვოლოგდელთა შრომითი საქმეები ჯერ კიდევ ვერ პოულობს გაზეთში ჯეროვან ასახვას. რედაქცია მკითხველს სთავაზობს მეტად ბევრ რუბრიკას, რომელთა განუწყვეტლივ გამოქვეყნება საეჭვოა უზრუნველყოფილი იყოს. დაგეგმილი მასალების ავტორთა შორის არიან მეცნიერი მუშაკები, ჟურნალისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და თითქმის არ არიან მუშები და კოლმეურნეები. ზოგიერთი სტატია ამ მღელვარე თემებზე დაწერილია უფერულად, მათში არ არის პუბლიცისტური მეზნებარება.

ნაკლოვანებები, რომლებზეც ჰიუთითეს გაზეთ „კრასნი სევერს", დამახასიათებულია პრესის მთელი რიგი სხვა ორგანოებისთვისაც. იმისათვის, რომ პრესამ წარმატებით გაართვას თავი საიუბილეო წელს მის წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს, საჭიროა პარტიული კომიტეტების მუდმივი დახმარება. მათ გულდასმით და დაინტერესებით უნდა განიხილონ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების გეგმები, განსაზღვრონ მათი საქმიანობის მთავარი მიმართულებანი, იზრუნონ იმისათვის, რომ პრესა თანმიმდევრულად და ღრმად აშუქებდეს გენერალურ თემებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელოვანი ორმოცდამეთე წლისთავის მოახლოებასთან.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ საბჭოთა პრესა, განუხრელად დაიცავს რა პარტიული ჟურნალისტიკის ლენინურ პრინციპებს, საბჭოთა ხელისუფლების ამ საიუბილეო წელს იქნება იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებსაც მას კომუნისტური პარტია უსახავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

გამოსტაკვს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის აზრსა და გრძნობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენ, სახალხო უნგრეთის უმაღლესი პარტიული ფორუმის — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობის დელეგატებს, გითვლით ძმურ კომუნისტურ სალამს და გისურვებთ წარმატებებს ყრილობის მუშაობაში. თქვენი სახით მხურვალედ მივესალმებით უნგრელი კომუნისტების მთელ სახელოვან პარტიას — ჩვენს საბრძოლო მეგობრებს, თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის დიად ბრძოლაში.

უნგრელი ხალხი უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობას ხვდება ახალი დიდი მიღწევებით პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. უნგრეთის მშრომელებმა ჩაფუშეს რეაქციული ძალების ყველა ცდა ხელი შეეშალათ ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის და მოკლე ისტორიულ პერიოდში საფუძველი ჩაუყარეს უნგრეთში სოციალიზმს და ახლა მტკიცედ მიდიან წინ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების გზით.

მთელი ეს წარმატებანი უნგრელმა ხალხმა მოიპოვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით. შემოქმედებითად იყენებს რა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ხალხის ფართო მასების საარსებო ინტერესებს, წარმატებით წყვეტს სოციალისტური მშენებლობის რთულ საკითხებს, ღირსეული წვლილი შეაქვს მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილების საერთო საგანძურში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მრავალმხრივ დახმარებას უწევს მოძმე ვიეტნამელ ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების ყაჩაღური აგრესიის მოგერიებაში, აქტიურად იბრძვის საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა კომუნისტებისათვის კარგად არის ცნობილი უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საქმიანობა, რომლის მიზანია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცება, იმ გენერალური ხაზის დაცვა, რომელიც კოლექტიურად შემუშავებულია 1957 და 1960 წლების თათბირებზე.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხებს მჭიდროდ აკავშირებთ ძმობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები, ჩვენი ხალხების საერთო ბედიღბალი, საბრძოლო ამხანაგობა, რომელიც ნშავ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარცეცხლში. ჩვენი პარტიების მარქსისტულ-ლენინური ერთიანობა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საიმედო საწინდარია.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, მოძმე უნგრეთის ყველა მშრომელს დიდ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მთელი უნგრელი ხალხის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას — უნგრეთის მუშათა კლასისა და მთელი უნგრელი მშრომელების მებრძოლ ავანგარდს!

გაუმარჯოს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს უნგრეთის და უნგრელი კომუნისტების ურღვევ ძმობას!

დაე მტკიცდებოდეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა და შეკავშირება!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ქალაქების ზვალინდელი დღე

ქალაქების საცხოვრებელი რაიონების განაშენიანების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ეძღვნება ევროპის სოციალისტური ქვეყნების არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელების თათბირი, რომელიც 29 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. თათბირი მოაწყო სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა. თათბირის მონაწილეთა შორის არიან ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტი **გ. სტოილოვი**, უნგრეთის არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტი **ა. როშელი**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტი **ე. კოლანი**, პოლონეთის არქიტექტორთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტები **ი. ნოვიცკი** და **ნ. სულეკოვსკი**, რუმინეთის არქიტექტორთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **მ. ლეოარი**, ჩეხოსლოვაკიის არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტი **ი. გოჩარი**, იუგოსლავიის არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტი **ბ. ბოგდანოვიჩი**, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტი **ა. ბ. ფრონოვი** და სხვა თვალსაჩინო ხელოვნებმოძღვრები.

ძირითადი პრობლემა, რომელსაც თათბირის მონაწილეები განიხილავენ, არის ჩვენი ქალაქების ხვალინდელი დღე, მშრომელებისათვის ცხოვრებისა და საქმიანობის საუკეთესო პირობების შექმნა.

თათბირის მონაწილეები ეპირებენ გასაზღვრონ საერთო მიმართულებანი ამ პრობლემის გადაწყვეტაში.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის პირველმა მდივანმა **გ. მ. ორლოვმა.**

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრმა **ო. ა. შვიდკოვსკიმ.**

29 ნოემბერს სალოთის საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობამ თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად დარბაზობა გამართა.

თათბირზე ჩამოსულ ბუროთმოძღვრებმა გაეცნობიან საქართველოს არქიტექტურულ და ისტორიულ ძეგლებს, შეხვდებიან თბილისელ არქიტექტორებს. საბოლოო სხდომა დანიშნულია 3 დეკემბერს ქუთაისში. (საქდესი).

„კოსმოსი-133" საკდესის ცნობა

1966 წლის 28 ნოემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-133"-ის მორიგი გაშვება. თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა ომ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 88,4 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 232 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 181 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 51,9 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც 19,995 მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს; რადიოსიტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

თურქეთის რესპუბლიკის ელჩი თბილისში

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით თბილისში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჰასან ესათ იშიკი მეფლოლითურთ.

29 ნოემბერს ბატონი ჰასან ესათ იშიკი ეწვია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გიგოშვილს. ელჩისთან ერთად ვიზიტად იყო თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში ჩეტინ ორანი.

ა. ა. გიგოშვილსა და ჰასან ესათ იშიკს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თურქეთის რესპუბლიკის ელჩი ეცნობა საქართველოს ცხოვრებას. იგი იყო უნივერსიტეტში, მცხეთაში, დათვალიერა შამპანური ღვინოების ქარხანა.

(საქდესი).

ზეგეგმითი ტრაქტორები

ჟუთაისი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში სასახელო შრომითი გამარჯვება მოიპოვა სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა. რომელმაც ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ხუთწლედის პირველი წლის დავალება.

ამ დღეებში ტრაქტორმშენებლებმა წლიური გეგმის ზეგეგმა გამოუშვეს და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნეს 28 ცალი ტრაქტორი „რიონი". ქარხნის კოლექტივი ამისათვის ემზადება, რომ მოკლე ხანში დაამთავროს მის მიერვე შექმნილი ახალი ნიმუშის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის „რიონი-10"-ის გამოცდა და დაიწყოს მისი სერიული წარმოება.

მალაროელთა გამარჯვება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრების ინიციატორებმა — მალაროელებმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს.

ლენინის, ორდენოსანმა მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა: მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთწლედის პირველი წლის დავალება და მომავალი საუუბილეო წლის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათეულობით ტონა მარგანეცი.

ზეგეგმითს მარგანეცს იძლევიან კალინინის, ორჯონიკიძის და დიმიტროვის სახელობის მაღაროელთა კოლექტივები. შეჯიბრების თოსნები წლის ბოლომდე სამშობლოს მისცემენ 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილოგა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ყველა საბჭოთა კომუნისტის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მხურვალედ და ძმურად მიესალმება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობას, სოციალისტური უნგრეთის ყველა კომუნისტსა და მთელ ხალხს.

ჩვენ დიდად ვაფასებთ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა დავსწრებოდით უნგრელ კომუნისტთა უმაღლეს პარტიულ ფორუმს, რომელიც შეიკრიბა პარტიული ცხოვრების, პარტიის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად. კომუნისტური პარტიის თვითეული ყრილობა ღირსშესანიშნავი მოვლენაა ყველა ქვეყნის მოძმე პარტიებისათვის. გასაგებია, რომ კომუნისტები გულწრფელად, ამხანაგურად დაინტერესებული არიან ერთმანეთის საქმეებითა და წარმატებებით. ჩვენ ხომ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მჭიდროდ შეკავშირებულნი, ერთმანეთთან თანამშრომლობით მივდიგართ საერთო მიზნისაკენ. ჩვენს პარტიებსა და ხალხებს აქვთ საერთო ამოცანები, საერთო ინტერესები, ერთი დიადი და კეთილშობილური მიზანი — კომუნიზმი!

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან, რომელიც ამხანაგმა კადარმა გააკეთა, ჩანს, თუ რა დიდი შრომა გაუწევია უნგრელ ხალხს განვლილ ოთხ წელიწადში სამშობლოს განვითარებისათვის, თუ რა შესანიშნავ მიჯნებს მიაღწია სოციალისტურმა უნგრეთმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. სულ უფრო მდიდრდება და მშვენდება უნგრეთი. წლითიწლობით იცვლება მისი სახე. შენდება თანამედროვე ქარხნები და ელექტროსადგურები, ახალი ქალაქები, ახლებურად ცხოვრობს უნგრეთის სოფელი. დღევანდელი უნგრეთი შემოქმედი ქვეყანაა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დიდი სამშენებლო მოედანია, სადაც მთელი ხალხი შრომობს.

უნგრელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო: ევროპის რომელ კაპიტალისტურ ქვეყანას შეუძლია თქვას, რომ მისმა სამრეწველო წარმოებამ 6-ჯერ და მეტად გადაჭარბა ომამდელ დონეს, რომ მისი ეროვნული შემოსავალი 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. მთელ კაპიტალისტურ ევროპაში არ არის ასეთი ქვეყანა!

ზრდის ასეთი ტემპები ძალუძს მხოლოდ იმ ხალხს, რომელმაც მოიშორა კაპიტალიზმის უღელი, თავის ხელში აიღო საკუთარი ბედი და მტკიცედ მიდის ნათელ, ბედნიერი მომავლისაკენ.

რასაკვირველია, ეს წარმატებანი თავისთავად არ მოსულა. ისინი მოპოვებულია მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თავდადებული შრომით. ეს წარმატებები შედეგია უნგრელ კომუნისტთა დიდი ორგანიზატორული საქმიანობისა, რომელთაც სრული საფუძვლით შეგვიძლია ვუწოდოთ სოციალისტური მშენებლობის სულისჩამდგმელნი. ხალხის ბედნიერებისათვის მამაცური ბრძოლით კომუნისტებმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს მშრომელთა მასებში.

ბუდაპეშტი, 29 ნოემბერი. (საკდესი). უნგრეთის დედაქალაქში მუშაობას განაგრძობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობა.

დღეს დილის სხდომაზე მოხსენება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბელა ბისკუმმ.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ა. ხორვატისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მდივნის ო. ბარინკაის გამოსვლების შემდეგ დაიწყო კამათი.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობის საღამოს სხდომა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვით. ყრილობის თავმჯდომარის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იშტვანს სურდის ცნობას, რომ სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს, დელეგატები ხვდებიან ხანგრძლივი ტაშით. დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმა ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც ტრიბუნაზე ავიდა.

ამხანაგებო! ... ...

ვაკანტური ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

მეჯი კოლეგიალობა!

ლინჯად, მკაფიოდ ლაპარაკობდა მომხსენებელი საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობაზე, ახალი ხუთწლედის პირველი წლის დაგეგმვათა შესრულების საქმეში თვითეული კომუნისტის წვლილზე, მაგრამ როცა იგი პასიურ კომუნისტებს ისაუბრებდა, ხმა ეცვლებოდა, ერთგვარი ღელვებაც ეტყობოდა...

ბუნებრივია, დამისახელეთ კაცი, რომელიც საკუთარ ოჯახში გულგრილად და აუღელვებლად შეხედავს ზარმაცს, უსაქმურს... პარტიული ორგანიზაციაც რომ ერთი განუყოფელი ოჯახია, და მერე როგორი — სანიმუშო, ყველასათვის მაგალითის მომცემი!

გორის რაიონის ქიზნისის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტები ერთი აზრითა და სურვილით შეუდგნენ ხუთწლედის პირველი წლის დაგეგმვათა შესრულებისათვის ბრძოლას. მათი ხელმძღვანელობით დროულად და ხარისხიანად დამუშავდა ზვრები და ხეხილის ბაღები. შრომიელები ვაქცინაციას ეუბედებოდნენ 710 ჰექტარამდე მიწას, საიდანაც მათ თავიანთი გარჯის ნაყოფი უნდა მოეკოთ, მაგრამ შედეგი არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა. უნდა ითქვას, წელს ქიზნისელებს შემოდგომამ ხელმბვავიანი მასპინძლობა ვერ გაუწია.

მეურნეობის წამყვანი დარგი მეხილეობაა. პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ყველაშვილმაც საანგარიშო მოხსენების ერთ-ერთი პირველი ნაწილი ამ დარგში მუშაობის საკითხებს მიუძღვნა.

ქიზნისელებს წელს სახელმწიფოსათვის გეგმით უნდა მიეყიდათ 14.400 ცენტნერი სტანდარტული ხილი. ფაქტიურად კრების დღისათვის მხოლოდ 11.700 ცენტნერის დამზადება შეძლეს. რაც შეეხება ბოსტნეულის დამზადებას, მეურნეობის ფშრომელებმა საერთო გეგმა კი შეასრულეს, მაგრამ ცალკეული სახეების მიხედვით შესრულება გაუჭირდათ.

ასეთი კომუნისტები ცოტა როდი ჰყავს მეურნეობას. ისინი ძირითადად მესამე კვარტალში მუშაობენ. ამ უბნის №7 და №8 ბრიგადებმა წარმატებით შეასრულეს თესლოვანი ხილის დამზადების გეგმა და საგრძნობლად გადაჭარბეს მას.

საანგარიშო პერიოდში, როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, არანაკლებ ისაუბრეს თავი მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა. მათ გეგმით გათვალისწინებული 310 სული მსხვილ-ფეხა პირუტყვის ნაცვლად 347 სული ჰყავთ. კომუნისტების ჯ. ლომოურის, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატის ციცინო ქობლიანიძის, მარიამ მისიუოადის და სხვათა მოყვანილი შრომის შედეგია, რომ წელს მეურნეობამ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. თერმეტი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიეყიდა თექვსმეტი ტონა ხორცი. ამ მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე უპარტიო ამხანაგებს ე. ინაურს, ს. ლაფაჩს, გ. არჩუაძეს, შ. წრქარიძეს, მ. გუკასიანს, რომლებიც საფრთხეს უქმნის სხვა კულტურების წარმოების ზრდასაც.

ამ სიტყვების გაგონებაზე დარბაზში, სადაც საანგარიშო-საარჩევნო კრება მიმდინარეობდა, სკამები აკრიალდა. კომუნისტებმა ერთიმეორეს გადახედეს, ბევრმა თავი ჩაქინდრა. ძნელი სათქმელია, იმ წუთში ვინ რას ფიქრობდა. მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ კომუნისტი ვერ შეურიგდება ნაკლოვანებებს. „იგი მოწოდებულია იყოს მხოლოდ და მხოლოდ მოწინავეთა რიგებში და მაგალითის მაჩვენებელი.

ასეთი კომუნისტები ცოტა როდი ჰყავს მეურნეობას. ისინი ძირითადად მესამე კვარტალში მუშაობენ. ამ უბნის №7 და №8 ბრიგადებმა წარმატებით შეასრულეს თესლოვანი ხილის დამზადების გეგმა და საგრძნობლად გადაჭარბეს მას.

საანგარიშო პერიოდში, როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, არანაკლებ ისაუბრეს თავი მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა. მათ გეგმით გათვალისწინებული 310 სული მსხვილ-ფეხა პირუტყვის ნაცვლად 347 სული ჰყავთ. კომუნისტების ჯ. ლომოურის, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატის ციცინო ქობლიანიძის, მარიამ მისიუოადის და სხვათა მოყვანილი შრომის შედეგია, რომ წელს მეურნეობამ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. თერმეტი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიეყიდა თექვსმეტი ტონა ხორცი. ამ მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე უპარტიო ამხანაგებს ე. ინაურს, ს. ლაფაჩს, გ. არჩუაძეს, შ. წრქარიძეს, მ. გუკასიანს, რომლებიც კომუნისტთა მაგალითით შრომობენ.

როგორც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, მეურნეობაში არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთი ცხოვრების ხახეკარის ბაზრებში ატარებენ დროს ხილით ვაჭრობენ, გაურბიან საზოგადო შრომას. მათ ცხოვრების იოლი გზა აურჩევიათ. კრების ტრიბუნიდან ისინიც დაასახელეს: რ. ოსესაშვილი, გ. ბოლოთაშვილი, ო. ხოხაშვილი, ს. იოსებაშვილი, ვ. ინჭითი...

— აღმზრდელობითი მუშაობა მათზე არა სჭრის, სხვა მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ, — განაცხადეს მოკამათეებმა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ვრცელად ითქვა აგრეთვე მეურნეობის სხვა წარმატებებსა და წარუმატებლობაზე, ენინსვლის და ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე.

მეურნეობის ავტოსატრაქტორო პარკის ბრიგადირმა ლევან წიქარიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა ავტოპარკში არსებული ნაკლოვანებები. ის თქვა, რომ დღემდე კეთილმოუწყობელია მექანიზატორთა სამუშაო უბანი. იგი მოითხოვდა არსებული მდგომარეობის გამოსწორებას, მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნას.

ვფიქრობ, რომ მოკამათე მარტო ამ ცხობითა და განცხადებით არ უნდა შემოფარგლულიყო. მას არცერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს პარტიული ორგანიზაცია და მისი კომიტეტი ამ სამუშაო უბანზე საქმის გამოსწორებისათვის, როგორია კომუნისტების როლი, ან რა უნდა გააკეთოს მომავალში ახალმა პარტიულმა კომიტეტმა?

პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე სიტყვაც არ დასცდენიათ აგრეთვე კამათის მონაწილეებს ვ. ლაფაჩს, მ. ჩიხლადეს, ნ. ფარეხელაშვილს, ი. ღვინაძეს...

პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბზიშვილმა, რომელიც საანგარიშო-საარჩევნო კრებას ესწრებოდა, თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სწორედ ამას. მან აგრეთვე თქვა, რომ მუშაობაში საჭიროა მეტი კოლეგიალობა. კრების მსვლელობის დროს ნათლად ჩანდა, რომ პარტიულ კომიტეტს და მეურნეობის დირექციას ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაზე სხვადასხვა მოსაზრებანი აქვთ, ერთიმეორის შეუთანხმებლად წყვეტენ საკითხებს. აკი ამიტომ ურჩია კრების მონაწილეებს რაიკომის მდივანმა, რომ მეტი კოლეგიალობაა საჭიროო.

დიახ, კომუნისტისათვის უცხოა შემოიფარგლოს თავისი ვიწრო სამუშაოთი. ესეც რომ არ იყოს, მეურნეობის ინტერესები ხომ მოითხოვენ მთელი ძალების გაერთიანებასა და წარმართვას მეტი პროდუქტების წარმოებისათვის, აღძანთია აღზრდის გაუჯრობესებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ არ დაქანცოს ეს ძალები. კომუნისტები ერთნაირად აგებენ პასუხს მეურნეობის ცალკეულ უბნებში დამბულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე.

პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ახალ პარტიულ კომიტეტს სხვა კიდევ ბევრი მოთხოვნა წაუყენეს. ახლა მთავარია პრაქტიული მუშაობა ამ განაწესის შესასრულებლად. ქიზნისელებს შეუძლიათ იყონ მოწინავეთა რიგებში!

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროპაგანდისტთა და ლექტორთა სემინარი

29 ნოემბერს თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შენობაში მუშაობა დაიწყო პოლიტიკური განათლების სამლეგების, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციათა ლექტორების სარესპუბლიკათშორისო სემინარმა, რომელიც მიეძღვნა საკითხს „ტექნიკურ და თვალსაჩინო საშუალებათა გამოყენება ცოდნის პროპაგანდაში“. სემინარი მოაწყეს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ზნანიეს“ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ბ. სტშრუკამ.

მოხსენება „ტექნიკურ და თვალსაჩინო საშუალებათა გამოყენება საზოგადოებრივ - პოლიტიკური ცოდნის პროპაგანდაში“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორმა პ. ვ. სმირნოვმა.

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ზნანიეს“ გამგეობის უფროსმა რეფერენტმა ა. მ. შუმრსკიმ წაიკითხა მოხსენება „სრულიად საკავშირო საზოგადოება „ზნანიეს“ ორგანიზაციის ალტუნგა პროპაგანდის ტექნიკური და თვალსაჩინო საშუალებებიო“.

პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზოგადოებათა „ცოდნის“ ორგანიზაციათა მუშაობაში პროპაგანდის ტექნიკურ საშუალებათა და თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა გამოყენების გამოცდილებაზე ილუსტრაციებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის გამგე ვ. ი. ტაბერსკაია, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის კონსულტანტმა შ. შარიფოვმა, სომხეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ერევნის საქალაქო ორგანიზაციის ლექტორმა ა. ა. ბარხუდარიანმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლ. ბ ე ნ ე ვ ა მ პროფესორმა შ. ა. სამხნაშვილმა.

სემინარის მონაწილეებმა ნახეს კინოფილმი „პროპაგანდის ტექნიკური საშუალებანი იდეოლოგიურ მუშაობაში“.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ნ. დმიტრიევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე შ. ა. სალარიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. ა. სალუქაძე.

ეკონომიური რეფორმა მოქმედებს

საბუერნიო რეფორმა, რომელიც ამჟამად ტარდება ჩვენს ქვეყანაში, უაღრესად რთული ეკონომიური ღონისძიებაა. იგი გულისხმობს ძირეულ გარდაქმნებს სახალხო მეურნეობის არა მარტო ცალკეული დარგების, მაგალითად მრეწველობის მართვის, დაგეგმვის, სტიმულირების, დაფინანსება-დაკრედიტების სფეროებში, არამედ ადამიანთა შეგნების, ფსიქიკის გარდაქმნის რთულ და ხანგრძლივ პროცესს, კომუნისტური მორალის განმტკიცებას, მართვის სამეურნეო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სრულყოფილებისა და ხრულყოფას. ამიტომ არის, რომ მიმდინარე საბუერნიო რეფორმა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი მყარი და საიმედო საშუალებაა.

ახალ სისტემაზე საწარმოთა გადაყვანა, რომელიც მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყო, მართალია, 1968 წელს უნდა დამთავრდეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სამეურნეო რეფორმის შედეგებს ამავე პერიოდში მოვიმკით. საქმე ეხება ამ რეფორმის არა მარტო განვრცობის, არამედ მისი სიღრმისეული, შინაარსობრივი განვითარების საკითხსაც.

მაშასადამე, ახალი სისტემით წელს მომუშავე საწარმოთა პრაქტიკა ჯერჯერობით სამეურნეო რეფორმის მექანიზმის შემოწმების ერთგვარი სასინჯი ქვაა. ჯერ კიდევ სწორდება და ზუსტდება რეფორმის მექანიზმის მრავალი დეტალი. შესაბამისად და თანდათანობით იცვლება ადამიანთა შეგნება, მეურნეობის ახლებურად გაძღოლის ჩვევა, მტკიცდება სახელმწიფო დისციპლინა. ყოველივე ეს ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ სამეურნეო რეფორმის პირობებში მომუშავე საწარმოთა პირველ შედეგებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, ზუსტად უნდა ავწონ-დავწონოთ წარმატებათა და ნაკლოვანებათა მიზეზები. მით უმეტეს, რომ საწარმოთა საქმიანობის მრავალი მხარე ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას, არის მრავალი ასპექტი, რაც უნდა გავითვალისწინოთ საწარმოთა ახლებურად მუშაობის პირველი შედეგების შეფასებისას.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით სულ 673 საბრეწველო საწარმო მუშაობს, სადაც 2 მილიონზე მეტი კაცია დასაქმებული.

სამეურნეო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება. თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად ეს ამოცანა, ჩანს იქიდანაც, რომ ახლებურად მომუშავე საწარმოებმა პირველ დამტკიცებულ წლიურ გეგმებს შედარებით გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მათ მოგების გეგმა 3,6 პროცენტით ანუ 130 მილიონი მანეთით გაიზარდეს. რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გეგმა კი — 302 მილიონი მანეთით.

სამეურნეო რეფორმა ითვალისწინებს ეგზადოებრივი წარმოების ამაღლებაში ტაბმუშავის კოლექტივისა და მისი თვითეულმუშაკის მატერიალურ დაინტერესებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საწარმოს მოგების ხარჯზე ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნა, რომელთა ოდენობა ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოებში ზრდა. ეკონომიურ სტიმულირებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. [illegible] ფონდებიდან: მატერიალური [illegible] ფონდი 1,8-ჯერ, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სანინაო მშენებლობის ფონდი — 1,6-ჯერ და წარმოების [illegible] განვითარების ფონდი — 3,1-ჯერ.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულმა საწარმოებმა სახელმწიფოს საგეგმო შემოსავალიც გაზარდეს: [illegible] მილიონი მანეთით.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? წელს [illegible]ისიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე რვა სამრეწველო საწარმოა გადასული. მათ შორის [illegible] — კვების მრეწველობის 5 საწარმო (თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, თბილისის თამბაქოს № 1 და № 2, სოხუმის [illegible] და ბათუმის თამბაქოს ფაბრიკები) და [illegible]აავეკრ ფაბრიკა (თბილისის გრეხილი [illegible]ეკნის, ახალდაბის საავეკრ და ბათუმის [illegible]ბუკის გადამმუშავებელი ფაბრიკები). [illegible] საწარმოებში სულ 3.700 კაცი მუშაობს.

როგორია მესამე კვარტალის მანძილზე ამ საწარმოთა საფინანსო-საეურნეო საქმიანობის შედეგები?

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროში შემავალმა ახლებურად, მომუშავე [illegible] ფაბრიკებმა ვერ შეასრულა 1966 წლის მესამე კვარტალის მოგების გეგმა (გეგმის შესრულებას 7 ათასი მანეთი დაკლო), რამაც ამ საწარმოთა მოგების გეგმის შესრულების მაჩვენებლის დონე საერთოდ დასწია. შრომის ნაყოფიერების გეგმა თამბაქოს ფაბრიკებმა საშუალოდ 103,5 პროცენტით შეასრულეს.

რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აღნიშნული კლება სამეურნეო რეფორმასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე რაიმე ნაკლოვანება იყოს. პირიქით, სამეურნეო რეფორმის კეთილნაყოფიერ გავლენას უნდა მიეწეროს მოგებისა და სხვა მაჩვენებელთა მიმდინარე წლის მესამე კვარტალის გეგმების გადაჭარბებით შესრულება. მაჩვენებელთა დონის აღნიშნული შემცირება თვით ამ საწარმოებისათვის საგეგმო დონის შემცირების შედეგია. რეალიზაციის გარკვეულ სიძნელეებთან დაკავშირებით ახლებურად მომუშავე თამბაქოს ფაბრიკებს წლის მეორე ნახევარში სათანადოდ შეუმცირდათ რეალიზაციის მოცულობის, მოგებისა და აქედან გამომდინარე შესაბამის მაჩვენებელთა საგეგმო მაჩვენებლები. ამიტომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა ვერ მივიღეთ.

თბილისის კომუნისტური შრომის ჩაის გადამწონმა ფაბრიკამ ახლებურად მუშაობის პირველ სამ თვეში 107 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება მიიღო, შრომის ნაყოფიერების გეგმა 110,7 პროცენტით შეასრულა, საშუალო ხელფასი გაზრდა 3,5 პროცენტით, ხოლო წახალისების ფონდები — 52,3 პროცენტით (გეგმა ითვალისწინებდა 21 ათას მანეთს, ფაქტიურად კი 32 ათასი მანეთი დაირიცხა). ამ ფაბრიკამ ახალი მეთოდით გაანგარიშებული რენტაბელობა გეგმით გათვალისწინებული 71,7 პროცენტიდან 91,9 პროცენტამდე ვაზარდა, ანუ ზრდამ 20,2 პუნქტი შეადგინა.

საქართველოს ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ 1966 წლის მესამე კვარტალის რეალიზაციის მოცულობის გეგმა 98,3 პროცენტით შეასრულა, სამაგიეროდ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მომუშავე მისმა სამმა საავეკრ ფაბრიკამ — 106 პროცენტით. ამ სამი ფაბრიკის პროდუქციის რეალიზაციის ხვედრმა წილმა სამინისტროს მთლიანი რეალიზაციის 10 პროცენტი შეადგინა, მოგების გეგმა ამ საწარმოებმა 113,9 პროცენტით შეასრულეს და 55 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს. ამასთან გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოგება 109 ათასი მანეთით გაზარდეს. შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება მათ 106,6 პროცენტით შეასრულეს, წახალისების ფონდები 42 პროცენტით ანუ 26 ათასი მანეთით გაზარდეს, ხოლო რენტაბელობის დონე საშუალოდ — 13 პუნქტით.

ახალი წესით მომუშავე ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში შესამჩნევია მუშების საშუალო ხელფასის ზრდასთან შედარებით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოხამსახურეთა საშუალო ხელფასის ზრდის უფრო მაღალი ტემპი. საწარმოთა ხელმძღვანელობას აქ გარკვეული კორექტივის შეტანა დასჭირდება. კერძოდ, ალბათ საჭირო გახდება მატერიალური წახალისების ფონდის განაწილებისას მუშების კატეგორიისათვის წახალისების ხვედრწილის გაზრდა. ეს მეტად სერიოზული საკითხია და მას ფაქიზი მიდგომა სჭირდება.

ზოგჯერ ემჩნევა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით საშუალო ხელფასის (წახალისების ფონდებიდან დარიცხული თანხების ჩათვლით) ზრდის წინგამსწრები ტემპები, რაც არ უნდა ხდებოდეს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა სამეურნეო რეფორმის დასაწყისი ეტაპის დამახასიათებელი თავისებურებაა და ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ხელფასის აქამდე არსებული დონე ამ საწარმოებში შედარებით დაბალი იყო. შემდგომ პერიოდში, 1966 წლის მეოთხე კვარტალში, 1967 წელსა და მომდევნო წლებში ასეთ ნახტომს არ ექნება ადგილი, რადგან წახალისების ფონდების ნორმატივები მყარია, ხოლო სხვა სახის მაჩვენებელი გარდატეხა მოსალოდნელი არ არის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ახალი წესით მუშაობის პირველმა სამმა თვემ საწარმოთა ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაამკვიდრა; საწარმოთა უმრავლესობამ უფრო ეფექტიანად იმუშავა და ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. მეტ წილ საწარმოთა თვითეულმა მუშაკმა სამეურნეო რეფორმა აღიქვა როგორც სიკეთის მომტანი სიახლე. ეს არის პირველი და მნიშვნელოვანი შედეგი!

როგორია სამეურნეო რეფორმის განვრცობის პერსპექტივები? 1967 წლის დასაწყისიდან ჩვენს რესპუბლიკაში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საკმაოდ ბევრი საწარმო გადადის. კერძოდ, იანვრიდან ახლებურად მუშაობას შეუდგება რესპუბლიკის კვების მრეწველობის 44-მდე საწარმო და საფეიქრო მრეწველობის 41 საწარმო, ადგილობრივი მრეწველობის 4 საწარმო და ა. შ.

ახალ სისტემაზე საწარმოთა ასე დიდი რაოდენობით გადაყვანა დღის წესრიგში აყენებს მრავალ საჭირბოროტო საკითხს, რასაც დროული გადაჭრა სჭირდება.

პირველი, რაც მწვავედ იგრძნობა, ეს არის საწარმოთა კოლექტივებისათვის ახალი სისტემის ამხსნელი ინსტრუქციული, ნორმატიული და მეთოდიკური მასალების დეფიციტი. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებს მეტი წილი ინსტრუქციები და ნორმატიული მასალა ხელთ არა აქვთ. არაფერს ვამბობთ იმ ფუფუნებაზე, რომ ეს მასალები საწარმოთა კოლექტივებს ქართულ ენაზე ჰქონდეთ. ამ მიმართულებით რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ სასარგებლო ნაბიჯები გადადგა, თარგმნა რამდენიმე ინსტრუქცია, მაგრამ ისე უმნიშვნელო ტირაჟით გამოსცა, რომ ისინი ალბათ მისივე სისტემის მუშაკებს თუ ეყოთ. სამწუხაროდ, არც ერთ სამინისტროს და ზემდგომ სამეურნეო ორგანოს არ გამოუჩენია ამ მასალა-ინსტრუქციების გავრცელების ინიციატივა, რისი საშუალებაც მათ ჰქონდათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში დღეისათვის არ მოგვეპოვება არც ერთი სახის ცალკე გამოცემა, რომელიც საწარმოებს სამეურნეო რეფორმის საკითხების შესწავლაში პრაქტიკულ დახმარებას გაუწევდა.

საქართველოში ცალკეული სამინისტროები ამ ბოლო ჟამს დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ თავიანთი სისტემის მუშაკთა ეკონომიური ცოდნის ამაღლების მიმართულებით. კერძოდ, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებმა, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ სამეურნეო რეფორმის პრაქტიკული საკითხების შესწავლის მიზნით რესპუბლიკური თათბირ-სემინარები ჩაატარეს. რა თქმა უნდა, ეს კარგი ღონისძიებაა, მაგრამ არც ერთი ასეთი სემინარი და ლექციათ-მოხსენება ეფექტიანი არ იქნება, თუ საწარმოთა მუშაკებს ხელთ არ ექნებათ მეთოდური, ინსტრუქციული და ნორმატიული მასალები. სემინარების ჩატარებისას ზოგიერთი უარყოფითი მხარეც გამოვლინდა; ნაცვლად იმისა, რომ თათბირ-სემინარებზე ძირითად მომხსენებლად სამინისტროების, ტრესტებისა და ცალკეულ უწყებათა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოფილიყვნენ, ზოგჯერ ლექციათ-სემინარების ლექტორიუნი არსებითად მოწვეული პირებით დაკომპლექტდა. ამის გამო ლექციათ-სემინარებს ხშირად აკლდათ კონკრეტულობა. ამასთან ამ თათბირ-სემინარებმა ისიც გამოავლინეს, რომ ზოგიერთი სამინისტროში, ტრესტსა და უწყებაში ჯერ კიდევ ბოლომდე დამუშავებული \ როდია სამეურნეო რეფორმის ამსახველი ყველა ინსტრუქცია და სხვა მასალა. ამიტომ ზემდგომი სამეურნეო ორგანოების მხრივ იშვიათი როდია უსწორო მითითებებიც ახალი ინსტრუქციებისა და ნორმატიული მასალების გამოყენების დარგში.

ისიც უნდა ითქვას, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოთა გადაყვანის საქმეში ჩვენთან ჯერ კიდევ არ იგრძნობა ერთიანი და ყოვლისმომცველი, ამ საქმიანობის ყოველმხრივ მაკოორდინებელი სამეურნეო ორგანოს ხელი. დღეისათვის მრავალი საკოორდინაციო, სხვადასხვა ასპექტის საკითხებია შესასწავლი და მოსაგვარებელი, რასაც სამეურნეო რეფორმის განხორციელების საჭიროება აყენებს ჩვენს რესპუბლიკაში. ამ საკითხებს ჯერ-როვნი ყურადღება არ ექცევა.

საქართველოში მრავალი საწარმო აქტიურად ემზადება ახალი სისტემის შესახვედრად. ქების ღირსია თბილისის მაუდ-კამვოლის „კომბინატის, ელმავალსამშენებლო ქარხნის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს ეკონომიური და ინჟინერ-ტექნიკური დარგის მუშაკთა ნაყოფიერი შრომა, რაც მათ გასწიეს აღნიშნულ საწარმოთა მოსამზადებლად. მაგრამ ამასთანავე ბევრია საწარმო, სადაც „ზევიდან“ მითითების მიღების მოლოდინში გარკვეულ უმოქმედობას იჩენენ. ისინი ხშირად აყენებენ ასეთ კითხვას: როგორ მოვემზადოთ სამეურნეო რეფორმის რელსებზე გადასასვლელად, რა იგულისხმება მოსამზადებელ სამუშაოებში?

ახალ სისტემაზე გადასასვლელად სამრეწველო საწარმოებში მოსამზადებელი სამუშაოები ძირითადად სამი მიმართულებით უნდა ჩატარდეს.

ჯერ ერთი. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა მეურნეობის გაწმენდას, მათი სიდიდის ოპტიმალურ მინიმუმამდე დაყვანას. ის სამუშაოებანი, მატერიალური ფასეულობანი, რაც საწარმოს არ სჭირდება ან ძველი და გამოსაყენებლად უვარგისია, საწარმომ თავიდან უნდა მოიცილოს (რეალიზაცია, გადაცემა, ჩამოწერა). აქ მთელი სისრულით უნდა გამოვიყენოთ ახალი „დებულებები“ მინიჭებული უფლებები.

მეორე. ასევე პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა საწარმოებში შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვა. ეს საკითხი ეკონომიური საქმიანობის ფონზე ჯერჯერობით თეორია რჩება. იგი აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ახალი სამეურნეო რეფორმის პირობებში საწარმოთა მუშაობას ნაყოფიერი შედეგი არ ექნება, თუ შიდასამეურნეო მართვისა და დაგეგმვის ეს მეთოდი არ დაინერგა.

მესამე. საწარმოს კოლექტივმა კარგად უნდა აითვისოს ახალი სამეურნეო რეფორმის შესახებ. არსებული ყველა ნორმატიული მასალა და ინსტრუქცია და მათი გამოყენებით ანალიზი უნდა გაუკეთოს თავისი მუშაობის შედეგებს. უნდა აღმოიფხვრას ზოგიერთი მუშაკის ინდიფერენტული დამოკიდებულება სამეურნეო რეფორმის მექანიზმის, წესების, ინსტრუქციებისა და მეთოდოლოგიის შესწავლისადმი.

ამ სამუშაოთა კოორდინაცია მთლიანად ზემდგომი სამეურნეო ორგანოს საქმეა.

ძირითად საკითხთა ამ კომპლექსის ირგვლივ იყრის თავს საწარმოს საქმიანობის ყველა სხვა დანარჩენი საკითხი, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია საწარმოს გადასასვლელად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

აქ განსაკუთრებით საჭიროა ხანგრძლივი, ყოველდღიური, ღრმა ეკონომიური მუშაობის გაწევა და არა ერთდროული კომპანიის ხასიათის სამუშაოს ჩატარება. ამიტომაც იყო, რომ სკკპ XXIII ყრილობამ დაგეგმვის ახალი სისტემისა და ეკონომიური სტიმულირების განხორციელება უახლოესი წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია.

ლ. ხაბურზანია,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საბალანსო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

კარგი გზა დიდი სიკეთეა

ლასალხო მეურნეობის განვითარებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტს. ტრანსპორტის განვითარება, მისი მაღალთაყოფიერად გამოყენება კი ბევრად არის დამოკიდებული გზების კეთილმოწყობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ წარმატებით შეასრულა შეიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები. გეგმით გათვალისწინებული 918 კილომეტრის ნაცვლად კაპიტალურად შეკეთებულ იქნა 1.219,5 კილომეტრი. ამ გზებზე რემონტი გაუკეთდა 94 ხიდს, რომელთა საერთო სიგრძე 5.739 გრძივი მეტრია, და გეგმა 161,5 პროცენტით შესრულდა. კარგი მაჩვენებლებია აგრეთვე ადგილობრივი გზების მშენებლობისა და კაპიტალური შეკეთების საქმეში.

შვიდწლედის მანძილზე დიდად გაიზარდა შავსაფრიანი გზების რაოდენობა. ამჟამად საერთო-სახელმწიფოებრივი გზების 87,7 პროცენტი, ხოლო რესპუბლიკური გზების 62,7 პროცენტი შავსაფრიანია. ამ ძარცვენების მიხედვით საქართველო ერთ-ერთი წინაგვეა საბჭოთა კავშირში. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად თითქმის ყველა რაიონულ ცენტრამდე შავსაფრიანი, კეთილმოწყობილი გზატკეცილებია გაყვანილი. დარჩენილია მხოლოდ ექვსი მთიანი რაიონი, სადაც ასეთი გზატკეცილი ჯერჯერობით არ არის და ამჟამად საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს.

ერთგვაროვად გაუმჯობესდა ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა, მაგრამ საერთოდ ამ გზების ტექნიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

უკანასკნელ ხანს სამმართველომ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა ადგილობრივი გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის. დაწესდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ყოველი ნახევარი წლის შედეგებისათვის ენიჭება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს. ეს გარდამავალი ჯილდო რამდენჯერმე მოიპოვეს **თელავის** რაიონის გზის მუშაკებმა. ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის გეგმებს მუდამ წარმატებით ასრულებენ აგრეთვე **აფხაზეთისა** და **აჭარის** საგზაო სამმ

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელმა სოციალისტურმა უნგრეთმა მიიღო 1919 წლის უნგრელ კომუნართა ისტორიული ესტაფეტა და ღირსეულად განაგრძობს მათს გზას.

სოციალიზმისადმი, ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულებით, სხვა ხალხთა რევოლუციური ბრძოლისადმი ძმური სოლიდარობით უნგრელმა კომუნისტებმა მრავალი ქვეყნის შრომელთა და რევოლუციონერთა ფართო აღიარება და სიმპათიები დაიმსახურეს. მათ ბევრი ნათელი ფურცელი ჩაწერეს საერთაშორისო პროლეტარული ბრძოლის მატიანეში.

საბჭოთა ხალხი წმიდად ინახავს იმის ხსოვნას, რომ უნგრელი ინტერნაციონალისტი მებრძოლები ეხმარებოდნენ რუსეთის მუშებსა და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. არასოდეს არ დავივიწყებთ უნგრელი კომუნისტი მოხალისეების საბრძოლო გმირობას მადრიდთან, ესპანეთის სამოქალაქო ომში. არალეგალური მუშაობისას და ხორტისტული ტერორის წლებში, მეორე მსოფლიო ომის ძრძე ჟამს უნგრელმა კომუნისტებმა ცხადყვეს, რომ ხალხის ერთგული შვილები, მამაცი ანტიფაშისტები არიან. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ფაშიზზე გამარჯვებაში.

ხალხთა გულში ცოცხლობს სახელოვანი უნგრელი კომუნისტების — ამხანაგების ბელა კუნის, ტიბორ სამუელის, მატე ბალკასა და რევოლუციის სხვა უდრეკ მებრძოლთა ნათელი სახეები. მათი სახელები სამაგალითოა რევოლუციონერთა მრავალი თაობისათვის, უხმობენ ახალგაზრდობას იაროს მამათა გზით.

ამხანაგებო! მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში არ არის ქვალული და იოლი გზები, არ არის ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოსადეგი მზამზარეული რეცეპტები და ფორმულები. თვითეული კომუნისტური პარტია იცხობს და იყენებს სოციალისტური განვითარების საერთო კანონზომიერებებს, ითვალისწინებს მოძმე პარტიების გამოცდილებას და თვითონ იკაფავს გზას. ეს მეტად ძნელი საქმეა — მიდიოდე ავანგარდში, მიუძღოდე შენს ხალხს. საჭიროა ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, მუშათა კლასის საქმისადმი, შრომელი ხალხის საქმისადმი, გამბედაობა და ზუსტი ორიენტაცია, პრინციპულობა და ამასთანავე მოქნილი ტაქტიკა, სიმტკიცე და სიმშვიდე, რათა უნარიანად გადალახო ყველა სიძნელე, ისტორიის მკვეთრი შემობრუნებანი. უნგრელი კომუნისტების პარტიამ თავისი სიმწიფე სწორედ ამით დაამტკიცა, რომ ასეთ მოცულობაში მოწოდების სიმაღლეზე დგა. ამას განსაკუთრებით დამაჯერებლად მოწმობს უკანასკნელი ათწლეული.

1956 წლის რთულ და ძნელ დათარებაში უნგრელმა კომუნისტებმა გამოიჩინეს ვაჟკაცობა და ულის სიმტკიცე, შეძლეს გასძლოლოდნენ ხალხის ფართო მასებს. ჭეშმარიტად ლენინურ საფუძველზე მოხდა პარტიის რეორგანიზაცია, ბოლომდე გამოვლინდა წინათ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებები, განტკიცდა სოციალისტური კანონიერება და დემოკრატია, გამოინახა პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ახალი, ეფექტიანი ფორმები და მეთოდები. უნგრელმა ხალხმა თავისი პარტიის ხელმძღვანელობით დიდძნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ საქმით დაამტკიცა, თუ რას ნიშნავს პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალისტური მშენებლობის ყველა სფეროში.

იქცევიან რა როგორც თანმიმდევრული და მტკიცე ინტერნაციონალისტები, უნგრელი კომუნისტები ყოველთვის იყვნენ და არიან თავიანთი სამშობლოს მხურვალე პატრიოტები — წარსულის პროგრესული ტრადიციების ერთგული დამცველნი და განმგრძნობნი, ყველაზე მოწინავე ეროვნული ძალა. თავიანთი ძაგალითით მათ შეაკავშირეს უნგრეთის ყველა მშრომელი და ჩაუნერგეს საერთო მისწრაფება შექმნან ერის მტკიცე სოციალისტური ერთიანობა.

უნგრელი კომუნისტების საქმიანობა, ისევე როგორც მსოფლიო სოციალიზმის განვითარების მთელი გამოცდილება, — ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ კომუნისტურ პარტიას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებაში. ეკონომიკისა და კულტურის წარმატებით მშენებლობა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, სოციალისტური შეგნებულობის ჩანერგვა შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური პარტიის მიზანდასახული ხელმძღვანელობის პირობებში. სოციალიზმი და პარტია, პარტია და ხალხი განუყოფელია. ეს არის სოციალისტური წყობილების სიცოცხლისუნარიანობისა და სიმტკიცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი ყრილობის ტრიბუნიდან გვინდა გითხრათ, თუ რა ღრმა პატივისცემისა და ამხანაგური სოლიდარობის გრძნობით არიან გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტები უნგრელ მშრომელთა ნაცადი ავანგარდის — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, მისი ხელმძღვანელი ბირთვისადმი — ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელსაც მეთაურობს ამხანაგი იანოშ კადარი — შესანიშნავი კომუნისტი და ადამიანი, უნგრეთის რევოლუციური და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. მოხარული ვართ აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის სრული ერთიანობა სოციალიზმის მშენებლობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარების ყველა ძირეულ საკითხში.

დღეს ხალხო უნგრეთის წარმატებებს აღიარებენ არა მარტო მისი მეგობრები, არამედ მტრებიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ სოციალისტურ წყობილებას. ცხოვრებამ იმედი გაუცრუა უხეირო წინასწარმეტყველებს. მარცხი განიცადა არა სოციალისტურმა უნგრეთმა, არამედ იზოლაციისა და ბლოკადის შუბლმაგარმა პოლიტიკამ, რომლის განხორციელებას ლამობდნენ იმპერიალისტები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

როგორც ვიცით, ბურჟუაზიულ უნგრეთს 38 ქვეყანასთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა. სოციალისტურ უნგრეთს კი მსოფლიოს 70-ზე მეტ სახელმწიფოსთან აქვს ურთიერთობა. იგი აქტიურად მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობაში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხმას პატივისცემით ისმენს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ხალხი.

ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, გვახარებს უნგრელი მეგობრების წარმატებანი მსოფლიო ასპარეზზე, თქვენი რესპუბლიკის მზარდი საერთაშორისო ურთიერთობა. დიდად ვაფასებთ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებულ მტკიცე, ძმურ მეგობრობას. საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობა სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენს საერთო ბრძოლაში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს, სულ უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი ხდებოდეს.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობა ეკონომიკის დარგში წლითიწლობით იზრდება და ორივე მხარისათვის სარგებლობა მოაქვს. ჩვენი ქვეყნების საქონელბრუნვამ შარშან მნიშვნელოვანი ციფრი — თითქმის მილიარდი მანეთი შეადგინა. ჩვენ წარმატებით ვახდენთ სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ვახორციელებთ წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებას. ჩვენ მოთხოვნილებად გადაგვექცა ერთმანეთის გამოცდილების შესწავლა, ყოველივე საგულისხმოსა და სასარგებლოს შემენა ამ გამოცდილებიდან. ჩვენი თანამშრომლობის ფორმები და მეთოდები ყოველდღიურად იხვეწება ჩვენი ქვეყნების საჭიროებებისა და ამოცანების შესაბამისად. თვითეული ქვეყანა მეორე ქვეყნის გამოცდილებიდან იძენს იმას, რაც მართლაც საჭირო და სასარგებლოა მისთვის. მხოლოდ ასეთ საფუძველზე ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება პროგრესის ნამდვილი მამოძრავებელი ძალა.

სოციალიზმის ქვეყნების ძმური თანამშრომლობა და სოლიდარობა ჩვენი ძლიერების შესანიშნავი მაცოცხლებელი წყაროა, ამხანაგებო. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური პრინციპების ერთგულება ჩვენი საერთო საქმის, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და ბედნიერების საქმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის მომავალ გამარჯვებათა საიმედო საწინდარია!

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი ცხოვრობს და შრომობს ღირსშესანიშნავი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორმოცდაათი წლისთავის წინ. ეს იქნება დიადი წლისთავი. საბჭოთა ხალხი, და ჩვენი მეგობრებიც საზღვარგარეთ, ეჭვი არ არის, ზეიმით და დიდი აღმავლობით აღნიშნავენ მას. მაგრამ, ოლბილეასათვის რომ ვემზადებით, ჩვენ არ ვივიწყებთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვებს, რომ დიდი რევოლუციის წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნის საუკეთესო წესია მთელი ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ ამოცანებს, განვიმტკიცოთ შრომითი ენთუზიაზმით. ასრულებენ რა დიდი ბელადის ამ ანდერძს, საბჭოთა ადამიანები ისწრაფვიან ჩვენთვის ძვირფასი იუბილე აღნიშნონ ახალი დიდი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში.

უფრო მკაფიოდ, რიტმულად იწყო მუშაობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მთელმა რთულმა მექანიზმმა. სწრაფი ტემპებით ვითარდება ინდუსტრია. საბჭოთა კავშირის სამრეწველო საწარმოები წარმატებით ამთავრებენ ახალი ხუთწლედის პირველი წლის — 1966 წლის გეგმის შესრულებას. მიმდინარე წლის პირველი ათი თვის საწარმოო გეგმა ჩვენმა მრეწველობამ 3 პროცენტის გადამეტებით შეასრულა. და ყველა საფუძველია ვიფიქროთ, რომ წელიწადი კარგად დამთავრდება. საბჭოთა ქვეყნის ქარხნებსა და ფაბრიკებში გაჩაღდა აქტიური მუშაობა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ალმავალობის გზაზეა სოფლის მეურნეობაც, რომლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმისა და ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა. ჩვენმა მხვნელ-მთესველებმა წელს მოიყვანეს და აიღეს მარცვლეულის ყველაზე დიდი მოსავალი საბჭოთა ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გვახარებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახორციელებს ჩვენი ეკონომიური სისტემის, მართვის ფორმებისა და მეთოდების, დაგეგმვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ფართო ღონისძიებებს. ამავე დროს მაღლდება პარტიული ხელმძღვანელობის დონე, რაც შემდგომი საზოგადოებრივი პროგრესის დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ეკონომიკის ზრდასთან ერთად სრულყოფილი ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობა, საბჭოთა საზოგადოების სოციალისტური დემოკრატია. სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობისადმი კონტროლში სულ უფრო ფართოდ მონაწილეობენ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასები. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად და უკეთ გამოვიყენოთ ჩვენი სოციალისტური წყობილების მდიდარი შესაძლებლობანი.

მთელმა ხალხმა მოიწონა ჩვენი პარტიის კურსი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ დასახა. ეს კურსი, რომელიც XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა შემდგომი განვითარებაა, ამავე დროს ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში. ახორციელებენ რა XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო წარმატებით მიიწევენ წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით.

ამხანაგებო! ჩვენს დროში, როცა, მთელ პლანეტაზე გაიშალა უძლეველი რევოლუციური პროცესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის ბრძოლას. კომუნისტები თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული, თანმიმდევრულად რევოლუციური და გავლენიანი ძალაა. მათს შეკავშირებასა და ერთიანობაზე დიდად არის დამოკიდებული მშვიდობისა და სოციალიზმის ბედი. შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ კომუნისტური პარტიების დიდ უმრავლესობას, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მაღალი ისტორიული პასუხისმგებლობა, საჭიროდ მიაჩნია, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმმა გააერთიანოს ღონისძიებანი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამას გამოხატავს ის, რომ კომუნისტური პარტიები სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვენ მოქმედების კოორდინაციას, რათა წინააღვუდგეთ იმპერიალისტ აგრესორებს, ხალხთა თავისუფლების ჩამხრჩობთ, ამას გამოხატავს აგრეთვე ბევრი მოძმე პარტიის განცხადებანი, რომ სულ უფრო მწიფდება პირობები, რათა კომუნისტებმა კვლავ კოლექტიურად განიხილონ შექმნილი ვითარება და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ამოცანები.

იმპერიალისტებს აშკარად აშინებთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცება, აშინებთ ჩვენი ძალის განმტკიცება. როგორმე ხელი რომ შეუშალონ ამას, ისინი სხვადასხვა მანევრსა და ხრიკებს მიმართავენ. შემთხვევითი როდია, რომ ბურჟუაზიული პრესა ამ ბოლო დროს ყოველ ყაიდაზე გაიძახის, თითქოს მარქსისტულ-ლენინური პარტიების თათბირის მიზანი იყოს ვიღაც „განკვეთოს“ ჩვენი მოძრაობისაგან. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ნამდვილი სისულელეა, რასაც იმპერიალისტები ავრცელებენ პროვოკაციული მიზნებით. როცა საქმე ეხება კომუნისტური პარტიების თათბირს, ისე, როგორც ყოველთვის, მხედველობაში გვაქვს ამხანაგურად განვიხილოთ საერთაშორისო განვითარების საარსებო პრობლემები, ერთობლივად გავუკეთოთ ანალიზი იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოში მოხდა ამ უკანასკნელ წლებში, კოლექტიურად შევიმუშაოთ ჩვენი საერთო ხაზი მომავლისათვის და ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი რიგების ერთიანობა. ასე და მხოლოდ ასე შეიძლება იდგეს ეს საკითხი.

ამხანაგებო! სოციალიზმის ქვეყნების, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალების მოქმედების ერთიანობის ამოცანა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღეს, როცა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში გააქტიურდნენ იმპერიალისტური რეაქციის ძალები, აგრესიის ძალები. დასავლეთგერმანელ რევანშისტთა ხარბ ზრახვებს, რომლებიც ევროპის ხალხთა უშიშროებას საფრთხეს უქმნიან, იმპერიალისტთა ცდებს ხელი შეუშალონ კუბის გმირ ხალხს აშენოს სოციალიზმი თავის მიწა-წყალზე, ახიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფას და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ყაჩაღურ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ უნდა დავუპირისპიროთ ანტიიმპერიალისტური ფრონტის გაერთიანებული ძალები. ამ ძალების სული და გულია სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და კომუნისტთა საერთაშორისო არმია.

ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები, როცა უარს ამბობენ ერთობლივ მოქმედებაზე ვიეტნამელი ხალხის დასაცავად, სურთ ეს მათ თუ არა, ობიექტურად ეხმარებიან იმპერიალისტებს და ართულებენ ვიეტნამის ბრძოლას. ამით ისინი ძმიმე პასუხისმგებლობას კისრულობენ ვიეტნამელი ხალხის წინაშე, მძიმე პარტიების წინაშე, მსოფლიოს მთელი რევოლუციური ძალების წინაშე.

ბევრი რამ ჩინეთის იმ ხელმძღვანელთა პოლიტიკაში, რომლებიც განსაზღვრავენ ჩინეთის კომპარტიის ახლანდელ კურსს, მწარე სინანულს იწვევს, სრულებით არ ეთანხმება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და დიდ ზიანს აყენებს ჩვენს საერთო დიად საქმეს. ამასთან ჩვენ ახლაც დარწმუნებული ვართ, რომ დადგება დრო, როცა ჩინეთის კომპარტია კვლავ დაიკავებს თავის ადგილს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებულ რიგებში მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ.

ჩვენი დიადი მოძრაობა უძლეველია, ამხანაგებო. იგი გამოხატავს მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელი ადამიანის ინტერესებს. მას ეკუთვნის მომავალი. და შეიძლება დაუეჭვებლად ითქვას, რომ იგი გადალახავს ყველა სიძნელეს და, კიდევ უფრო მომზწიფებული, ძლიერი და გამოწრთობილი დააღწევს თავს გასაცდელს. ერთიანობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთება, რომელიც სუფევს თქვენს ყრილობაზე, ადასტურებს, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობა დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კომუნისტთა საერთაშორისო ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

ნება მიბოძეთ გისურვოთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალი დიდი წარმატებანი თქვენი ქვეყნის სოციალისტურ განვითარებაში. ჩვენ კი, საბჭოთა კომუნისტები, კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვამტკიცოთ [illegible] ვშირის კომუნისტური პარტიის ძმური მეგობრობა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიასთან, საბჭოთა კავშირის მეგობრობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ჩვენ არ დავიშურებთ ძალღონეს, რათა ვიბრძოლოთ სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების განმტკიცებისათვის, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რიგების განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას — სოციალიზმის მშენებელ უნგრელ შრომელთა მოწინავე რაზმს!

განმტკიცდეს და აყვავდეს სსრ კავშირისა და უნგრეთის ხალხთა ურღვევი, ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა!

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობასა და შეკავშირებას — სოციალიზმისა და ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ გამარჯვებათა მტკიცე საწინდარს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ გადავცე ყრილობის პრეზიდიუმს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობისადმი.

(ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეთ მოისმინეს დიდი უურადღებით. მისი სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა მქუხარე ტაში).

ლ. ი. ბრეჟნევმა ტაშის გრიალში პრეზიდიუმს გადასცა მისალმების ტექსტი, ხელი ჩამოართვა იშტვან სტრბოსა და იანოშ კადარს. შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

დასასრულ ნება მიბოძეთ, ამხანაგო ღელეგატებო, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გადავცე სამახსოვრო საჩუქარი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სკულპტურული პორტრეტი, რომელიც შექმნა ცნობილმა საბჭოთა მოქანდაკემ ტომსკიმ.

დაე სახე მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელის და ორგანიზატორისა, ყველა მშრომელთა დიდი ბელადისა, რომლის იდეები გვიშუქებენ გზას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, მტკიცე მშვიდობისათვის, ყველა ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, იყოს ჩვენი პარტიებისა და ჩვენი ხალხების მარადიული მეგობრობისა და ძმობის სიმბოლო!

* * *

ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებს დარბაზი კვლავ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება. ყველანი ფეხზე დგებიან. პრეზიდიუმის მაგიდასთან ლ. ი. ბრეჟნევი და იანოშ კადარი მაგრად ართმევენ ხელს ერთმანეთს.

თავმჯდომარე ყრილობის ხახელით მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მისალმებისათვის და სამახსოვრო საჩუქრისათვის, რომელიც ძვირფასია უნგრელი კომუნისტებისათვის.

მთავროგის ჯილდოგის გადაცემა

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ლუარსაბ იანი ადამიანები, რომელთა ვაჟკაცობას, მამაობას, თავდაჭერას არაერთხელ გამოუწვია ჩვენი აღფრთოვანება, ადამიანები, ადამიანები, რომელნიც უანგაროდ, ოჯახებიც უანგაროდ, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის, სიმშვიდისა და ღირსების სადარაჯოზე. აქ შეიკრიბნენ აგრეთვე კვების მრეწველობის წარმომადგენელნი. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები — ყველა ისინი, რომელთა შრომას მაღალი შეფასება მისცეს ის, რომლებმაც დაიმსახურეს მთავრობის ჯილდოები, სპეციალური წოდებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეგზიდიუმის თავმჯდომარეს მოადგილემ **ბ. ბ. ლელაშვილმა** მილიციის მუშაკთა ჯგუფს გადასცა მედლები **„საზოგადებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“**, რომლითაც ბევრი დაჯილდოებულნი არიან საბჭოთა მილიციის დღესთან დაკავშირებით, საზოგადებრივი წესრიგის დაცვაში აქტიურად მონაწილეობისათვის, მოვალეობის ბრალეულების დროს მამაცობისა და თავდების გამოჩენისათვის. ეს ჯილდო მიეცა მილიციის პოლკოვნიკებმა **მ. ი. მუსხელაშვილმა** და **ვ. ი. ჭელიძემ**, პოლკოვნიკებმა **გ. ი. გვეტაძემ**, **ვ. ბ. გენგიბამ**, მაიორმა **ა. ს. დარსაძემ**, შინაგანი სამსახურის მაიორმა **ვ. ს. ქირიამ**, მილიციის კაპიტანებმა **რ. ბ. გიორგაძემ** და **ბ. უგულავამ**, უფროსმა ლეიტენანტმა **ტ. ქვაჩახიამ** და სხვებმა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის კვების მრეწველობის დარგში და კვების მრეწველობის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით მრეწველობის ამ დარგის მთელი რიგი მოწინავენ დაჯილდოებულნი არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით. ეს ჯილდოები მიიღეს „სამტრესტის“ თბილისის № 4 ღვინის ქარხნის მუშამ **მ. გ. გურაშვილმა**, თბილისის საინდუსტრიო კომბინატის ბრიგადირმა **ე. პ. ქორძაძემ**, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ინჟინერმა **მ. ა. ონანოვამ**, თბილისის ხორცკომბინატის მუშამ **ე. თ. ჭინჭარაულმა** და სხვებმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ საზოგადებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა **ვ. ი. ოდიშვილმა**, თბილისის რძის კომბინატის რესპუბლიკური საწარმოო-საკონტროლო ლაბორატორიის გამგემ **ნ. ა. კვკასიძემ**, მილიციის ზემდგომმა **გ. ი. ბანძელაძემ**, თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის დირექტორმა **ა. ფ. ქიქელიამ**. მათ აღნიშნეს, რომ მთავრობის ჯილდოები ბევრ რამეს ავალებთ და გამოთქვეს მხურვალე მისწრაფება, რომ კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ, რათა წარმატებით განაახორციელონ ხუთწლედის დავალებანი.

მ. მ. ლელაშვილმა გულთბილად მიუღლოცა დაჯილდოებულთ. (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიო პრესა აშუქებს

„პრავდის“ სტატიას „ჩინეთის ამბების გამო“

მსოფლიო პრესა ბეჭდავს შინაარსს გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიისა „ჩინეთის ამბების გამო“ და გაცხოველებით განიხილავს მას. ამ სტატიას ეძღვნება მსოფლიოს ბევრი ქვეყნის რადიოსა და ტელევიზიის გადაცემები, გაზეთების სარედაქციო სტატიები და კომენტარები.

ლონდონის ყველა დღევანდელმა გაზეთმა დაბეჭდა „პრავდის“ სარედაქციო სტატიის შინაარსი. ამერიკის „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ თითქმის მთლიანად გამოაქვეყნა ეს სტატია, სტატიას დიდი ყურადღება დაუთმო ბრიუსელის, ტოკიოს და მსოფლიოს სხვა დედაქალაქების პრესამ.

სოფია. გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელოში“ დღეს დაბეჭდა სრული ტექსტი გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიისა „ჩინეთის ამბების გამო“.

პრაღა. გაზეთებმა „რუდე პრავომ“ და „მლადა ფრონტამ“ დღეს დაბეჭდეს გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიის შინაარსი. როგორც საზეგამით აღნიშნავს „რუდე პრავო“, მთელი მსოფლიოს მოძმე პარტიებმა გამოიტანეს დასკვნა რომ ის, რაც ჩინეთში ხდება „კულტურული რევოლუციის“ ნიღბით, ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს, ზიანს აყენებს სოციალიზმს და შეიძლება მხოლოდ სახელი გაუტეხოს მეცნიერული კომუნიზმის იდეას.

ვარშავა. დღეს გაზეთმა „ტრიბუნა ლუდუ“ მთელი სარდაფი დაუთმო გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიას „ჩინეთის ამბების გამო“. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინეთის ამბები სულ უფრო აშფოთებს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, მთელი მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობას.

პარიზი. მოსკოვიდან მიღებულ კორესპონდენციებში საფრანგეთის პრესა დღეს ბეჭდავს ცნობებს გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიის შესახებ. „პრავდის“ სტატია, ხაზს უსვამს „ლუმანიტე“, შეიცავს „ფუნდამენტური მნიშვნელობის ანალიზსა და დასკვნებს“.

რომი. „პეკინის პოლიტიკა საფრთხეს უქმნის მთელ კომუნისტურ მოძრაობას“ — გვაუწყებს გაზეთ „უნიტას“ სათაური. გაზეთი წერს, რომ „პრავდის“ სტატია „ძლიერი და დასაბუთებულია“.

(საკდესი).

ბრეზილიის მოგუტუს დეკრეტი

ბრაზილია, 28 ნოემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა მობუტუმ გამოაცხადა დეკრეტი, რომლის მიხედვით „პოლო მოულოს ალმასის კონტრაბანდულ გატანას, რომელიც ნამდვილად შემაშფოთებელი გახდა“. ამას იუწყება კინშასის რადიო. პრეზიდენტმა ამ გადაწყვეტილების „შესაბამისად, დღეიდან ყველა უცხოელს აკრძალული აქვს კონგოს იმ რაიონებში შესვლა, სადაც ალმასის საბადოებია, თუ არ ექნება პრეზიდენტის კანცელარიის წერილობითი ნებართვა. არც ერთ უცხოელს ან უცხოეთის კომპანიას არა აქვთ აგრეთვე უფლება დაიქირაონ თვითმფრინავები კონგოს იმ რაიონებში წასასვლელად, სადაც ალმასის საბადოები მდებარეობს.

სახელმწიფო გადატრიალება ბურუნდიში

ლონდონი, 29 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბუჟუმბურიდან იტყობინება, ბურუნდის სამეფოს პრემიერ-მინისტრმა მიშელ მიჩომბერომ განაცხადა, რომ სამხედრო გადატრიალების შედეგად დაემხო მვამე (მეფე) ტარე V, და რესპუბლიკად გამოაცხადა ბურუნდის სამეფო.

გუშინ საღამოთი რადიოთი გამოსვლისას მიშელ მიჩომბერომ თქვა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი იქნება, და გამოაცხადა წინანდელი მთავრობის დაშლა.

ახალი მთავრობის შექმნამდე მის ფუნქციებს შეასრულებს დროებითი ეროვნული რევოლუციური კომიტეტი, რომელიც არმიის ოფიცრებისაგან შეიქმნა.

მთელ სამეფოში შემოღებულია კომენდანტის საათი.

ბურუნდის დამხობილი მეფე ტარე V გადატრიალების დროს კინშასაში იმყოფებოდა კონგოს პრეზიდენტის ეუზებიო მობუტუს ოფიციალურ სტუმრად. იგი ბუჟუმბურაში უნდა დაბრუნებულიყო დღეს, ნაშუადღევს.

პარიზი, 29 ნოემბერი. (საკდესი). ბურუნდის დედაქალაქში სრული სიმშვიდეა, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს ბუჟუმბურელი კორესპონდენტი. დღეს დილადანვე მუშაობდა ყველა დაწესებულება და მაღაზია. ახალმა ხელისუფლებამ გამოაცხადეს, რომ დახურულია მხოლოდ დედაქალაქის აეროპორტი.

ბრაკთა სოციალისტური კავშირის სელმძღვანელობის რეორგანიზაცია

ბაირო, 29 ნოემბერი. (საკდესი). აქ გამოიცა პრეზიდენტის დეკრეტი ბრაკთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი ორგანოს — ეროვნული კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ. დეკრეტის შესაბამისად ბრაკთა სოციალისტური კავშირის ამ ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში შედის: პრეზიდენტი ნასერი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი მარშალი ამერი, ვიცე-პრეზიდენტები ზაქარია მოჰი ედ-დინი და ალუბი ალ-შაფეი, ბრაკთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ სადათი, ბრაკთა სოციალისტური კავშირის გენერალური მდივანი ალი ბრეი და პრემიერ-მინისტრი სიტკი სულეიმანი. ამ ორგანოს რეორგანიზაციას, აღნიშ

მასპინძელია მოსკოვი

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

მოსკოვი. 29 ნოემბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ხვალ, 30 ნოემბერს, აკ კრემლის თეატრის სცენაზე გასტროლებს იწყებს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი.

ქართულმა თეატრმა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის მაყურებლის სასსაურროზე ჩამოიტანა თავისი ცხრა ნაწარმოები. პირველ სპექტაკლად დანიშნულია „ვეფხისტყაოსანი“ (ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია რ. ეგრალიძისა, დამდგმელი რეჟისორები — ა. ჩხარტიშვილი და მ. თუმანიშვილი).

ამას გარდა ვოსკოველები სამჯერ ნახავენ გ. ნახუცრიშვილის ზღაპარ კომედიას „ჭინჭრაქას“, ორ-ორჯერ იქნება წარმოდგენილი შექსპირის „მეფე ლირი“, ა. მილერის „სილამის პროცესი“ და ნ. დუბაძის „ჭიანი ღამე“, ხოლო თითოჯერ — „სიბრძნე სიცრუისა“ (სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით, პიესა ნ. ხატისკაცისა), პ. კოჟეუტის „როცა ასეთი სიყვარულია“, მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“ და ნ. აზიანის „უკანასკნელი მასკარადი“.

სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორები არიან ა. ჩხარტიშვილი, მ. თუმანიშვილი, რ. სტურუა, ნ. ხატისკაცი, გ. ჟორდანია, თ. მელალაშვილი.

დედაქალაქის მშრომელები და თეატრალური საზოგადოებრიობა ინტერესით მოელიან რუსთაველელთა სპექტაკლებს.

□ □

სალამი ქართველ კოლეგებს!

კრემლის თეატრი 1958 წელს დაარსდა. განვლილი შვიდი წლის მანძილზე ჩვენს სცენაზე გასტროლები ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ სახელგანთქმულ თეატრალურ კოლექტივს. აქ თავიანთი შემოქმედება უჩვენებიათ სასცენო ხელოვნების ყველა ჟანრის მსახიობებს.

წელს ჩვენი არჩევანი, როგორც ხედავთ, შეჩერდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრზე. ამ ქართული თეატრალური კოლექტივის მოწვევა ჩვენ დავუკავშირეთ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო წელიწადს.

რუსთაველის თეატრს მოსკოველები, შეიძლება ითქვას, კარგად იცნობენ. ისინი რამდენჯერმე იყვნენ საგასტროლოდ დედაქალაქში და ყოველთვის იმკიდნენ აქაური მაყურებლის პატივისცემასა და სიყვარულს. დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც სასიამოვნო იქნება მათთან შეხვედრა.

ვფიქრობთ, საგასტროლო რეპერტუარი კარგად არის შერჩეული. აქ არის ეროვნული და უცხოური კლასიკაც, თანამედროვე ეროვნულ და საზღვარგარეთელ ავტორთა ნაწარმოებები. ისიც დიდად საყურადღებოა, რომ დედაქალაქის თეატრალურ საზოგადოებრიობას შესაძლებლობა მეცემა გაიცნოს რამდენიმე სხვადასხვა რეჟისორის — უფროსი და ახალგაზრდა თაობის რეჟისორთა შემოქმედება.

დედაქალაქის მშრომელები წინასწარვე დიდ ინტერესს იჩენენ ქართველ მსახიობთა მომავალი გასტროლებისადმი. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ პირველ ოთხ სპექტაკლზე ბილეთები უკვე მთლიანად გაიყიდა.

გვინდა ვუსურვოთ ჩვენს ქართველ კოლეგებს, ჩვენს ძვირფას სტუმრებს, რომ თავიანთი ხელოვნებით ამჯერადაც ასიამოვნონ და გაახარონ მოსკოველები.

პეტრე კაბანოვი,
კრემლის თეატრის დირექტორი,
ანდრია ბარათოვი,
კრემლის თეატრის სამხატვრო და სარეპერტუარო ნაწილის უფროსის მოადგილე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲕᲬᲘᲥᲠᲝᲑ, ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ყოველი თეატრალური კოლექტივისათვის ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამოსვლა. დედაქალაქის მაყურებელთა აღიარება ყველაზე ძვირფასია, რადგან არ მეგულება მსოფლიოში არც ერთი ქალაქი, სადაც ასე მძაფრად ჩქეფდეს თეატრალური ცხოვრება.

რუსთაველის თეატრი მოსკოვში პირველად არ მიემგზავრება, მაგრამ წლევანდელი გასტროლები სავსებით განსხვავდება თეატრის წინანდელი სტუმრობისაგან. რუსთაველის თეატრი მიემგზავრებოდა მოსკოვში წელიწადის იმ დროს, როცა თეატრალური საზოგადოებრიობა ქალაქიდან წასული იყო. მოსკოვის თეატრები და მრავალრიცხოვანი მსახიობები თვით იყვნენ ხოლმე გასტროლებზე საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და უცხოეთში.

წელს უშუალოდ „თეატრალური მაყურებელი“ გვეყოლება, მათთან შეხვედრა კი ძნელია არის და სასუროველიც, მაგრამ როცა ვუყურებ, თუ რა გულმოდგინებით ემზადება ჩვენი თეატრის ყოველი წევრი ამ გასტროლებისათვის, ვრწმუნდები, რომ თეატრის წლევანდელი ნატარებ დროშას დაბლა არ დავხრით.

პირადად მე დიდ მზადებაში ვარ, რადგან ეს იქნება ჩემი პირველი გამოსვლა სცენაზე მოსკოვში მას შემდეგ, რაც ჩემმა გიორგი მახარაშვილმა კინემატოგრაფის საშუალებით გაიცნო დიდი ქალაქი. ეს ჩემს თავს უპირველესად თეატრის მსახიობად ვთვლი და ყველაზე ძვირფასი ჩემთვის სცენაზე მოპოვებული გამარჯვებაა. როგორ მიმიღებს მაყურებელი, რომელსაც მეხსიერებაში ჯერ კიდევ გიორგი მახარაშვილი ჰყავს?!

ვნახოთ...

სერგო ზაქარიაძე.
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

მეᲥᲕᲐᲓ ᲛᲐᲚᲔᲚᲕᲔᲑᲡ

ᲡᲣᲚ ცოტა ხნის წინათ ქართველმა ერმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობამ იზეიმა დიდი პოეტისა ; და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

დღეს დიდი შოთას სახელობის თეატრი გასტროლებს იწყებს მოსკოვში, ქალაქში, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგა. ყველაფერი ეს დიდ მოვალეობას გვაკისრებს.

საგასტროლო რეპერტუარი მრავალფეროვანია. ეს კი იმიტომ გვაძლევს, რომ მოსკოველი მაყურებლისათვის ჩვენი თეატრის გამოსვლები საინტერესო იქნება.

მე სამი როლით წარვსდგები მოსკოველთა წინაშე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სპექტაკლი „როცა ასეთი სიყვარულია“, რომელსაც დაესწრებიან, როგორც გვაცნობეს, პიესის ავტორი **პ. კოჟეუტი** და ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები.

მინდა გამოვთქვა ღრმა რწმენა, რომ ეს გასტროლები შემოქმედებითი გამარჯვება იქნება დიდი ტრადიციების მქონე ქართული თეატრისათვის.

მედეა ჩახავა,
ხაქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ გასტროლებზე პირველად არა ვარ, მაგრამ ამჯერად ძალიან ვდელავ, რადგან პირველად მივდივარ რეპერტუარის მხრივ ასე „დატვირთული“. „ვეფხისტყაოსანში“ წარეკითხავ ავთანდილის ანდერძს, გარდა ამისა მონაწილეობას მივიღებ სამ სპექტაკლში „მეფე ლირში“ (შასპირა), „სელემის პროცესში“ (ჰეიდი), „როცა ასეთი სიყვარულია“ (მილან სტებორი).

შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ გასტროლებზე მთავარი ძალა ახალგაზრდობა იქნება. ალბათ დამეთანხმებიან ჩემი კოლეგები, თუ ადვილშნავ, რომ საგასტროლო სპექტაკლებში პირველად იღებენ ასე ჯარიად მონაწილეობას ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. ეს სასიხარულო ფაქტია.

მოსკოველი მაყურებელი გულთბილია, მაგრამ გამოგიტყდებით — ერთი დიდი სურვილი მაქვს. მინდა ჩვენი სპექტაკლები უბრალო კეთილი სტუმართმოყვარეობის ნიშნით კი არ ჩატარდეს, არამედ მთ ქეშარიტი ხელოვნების გამოჯახილი ჰქონდეთ. ამისათვის მსახიობებმა დიდი მონდომება და მიზანსწრაფვა უნდა გამოვიჩინოთ და მაშინ მაყურებელი ვალში არ დაგვრჩება, მით უმეტეს მოსკოველი მაყურებელი, რომელსაც თეატრალური ხელოვნება შესანიშნავად ესმის.

გურამ სალარაძე.
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საოკეანო თევზჭერის სამმართველო სულ სამი წელია რაც არსებობს. მაგრამ მისი გემები თევზს იჭერენ ატლანტიკის სამხრეთ განედებში, ინდოეთის ოკეანესა და ფოლკლენდის კუნძულების სანაპიროებზე.

ახლახან სამმართველომ მოძმე ბულგარეთიდან მიიღო მცურავი სარემონტო სახელოსნო, რომელიც შესაძლებელს გახდის სეინერების შეკეთებას პირდაპირ ზღვაში. მცურავმა ქარხანამ, ასე უწოდეს მას ქართველმა მეთევზეებმა, უკვე მიიღო შესაკეთებლად პირველი სეინერი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მცურავი სარემონტო სახელოსნო ფოთის ნავსადგურში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲝᲥᲠᲝᲡ „ᲯᲐᲠᲦᲕᲘ“... ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ

ᲒᲚᲐᲒᲝᲕᲔᲨᲩᲔᲜᲡᲙᲘ, 28 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს მშენებლებმა, რომლებიც ძველი სახლის სარდაფს აღრმავებდნენ, სადაც რევოლუციამდე მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა, უჩვეულო გრუნტი გამოიტანეს მანქანით. იგი აღებულია თავისებური ოქროს... „ძარღვიდან“, რომელიც მუშების ი. კალიეიენსა და ი. კაზანცევის თვალწინ წარმოიქმნა. სარდაფს რომ აღრმავებდნენ, ისინი წაწყდნენ ქვიშით სავსე ტანგისაგან შემშეული რკინის კოლოფს. თავდაპირველად მუშებს განსაკუთრებული არაფერი შეუმჩნევიათ. და მხოლოდ მაშინ, როცა კოლოფი განზე გადაგდეს, დაინახეს, რომ იქიდან იყრებოდა მომწვანო ყვითელი ქვიშა.

200 გრამამდე ოქრო დარჩა კოლოფში, დანარჩენი კი ქვიშას შეერია. ოქრო რომ არ დაეკარგათ, მშენებლებმა ფრთხილად ამოიღეს ზედა შრიდან რამდენიმე კუბური მეტრი გრუნტი.

მთელი ძვირფასი ლითონი, კოლოფიდან და „ძარღვიდან“ — მუშებმა გადაწყვეტეს გადასცენ ამერის ერთ-ერთ სამაბოლოს, სადაც ხდება ქვიშრობის ოქროს მოპოვება.

ᲗᲝᲕᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲚᲭᲕᲘ

ᲙᲘᲛᲘᲜᲘᲒᲝᲕᲘ, 29 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს კიმინიოველები ბუნების საოცარი მოვლენის მოწმენი გახდნენ. დილიადგეგ დიდი თოვლი მოვიდა და უცვე, როცა ყველას ეგონა უკვე დაზამთრდაო, გაისმა ჭექა-ქუხილი და ცა ელვამ გახეთქა.

ამ მოვლენას, მეტეოროლოგები იმით ხსნიან, რომ 1-3 კილომეტრ სიმაღლეზე გათბა ატმოსფერო, რის შედეგად მოლდავეთისა და სამხრეთ უკრაინის ტერიტორიებზე გამოწვიდა ტემპერატურათა კონტრასტები.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ
ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛᲔᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲣᲩᲕᲔᲚᲝᲛ „ᲡᲐᲙᲣᲭᲜᲐᲛ“

ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ სოფელ კოსტაკოზის მცხოვრებს ირმამ ქარიმოვს ერთხელ ღამით 175 მანეთი დაეკარგა. ოთახში სახლის პატრონის გარდა არავინ ყოფილა. კარი და ფანჯრები დახურული იყო. და ფული მაინც გაქრა. თითქოს მიწამ პირი უყო.

ამას წინათ, ფარდულის შეკეთებისას, ქარიმოვმა მიწაში სორო იპოვნა. მის ქვეშ, უფრო ღრმად ვირთაგვას „საკუჭნაო“ იყო. როგორ გაოცდა ქარიმოვი, ამ „საკუჭნაოს“ ფსკერზე თავისი 175 მანეთი რომ ამოიოჩინა. იქვე იყო შოკოლადის კამფეტები, რამდენიმე ათეული კვერცხი, ბევრი ჭიქრმის ჩირი.

Ა. ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲕᲘ.

ᲓᲣᲨᲐᲜᲑᲔ. („სელსკაია ჟიზნ“.)

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ გრძელდება სამამულო კალათბურთის 60 წლისთავის აღსანიშნავი ტურნირი რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

ქალთა გუნდებიდან თავიდანვე დაწინაურდნენ რსფსრ-ისა და ლენინგრადის გუნდები. დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადისა და ლატვიის გუნდების შეხვედრამ. ძირითადი დრო რომ ამოწურა, ანგარიში იყო 55:55. დამატებით ხუთ წუთში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 61:59.

რსფსრ-ის ქალთა გუნდმა დაამარცხა მოსკოველი კალათბურთელები 60:41. ლატვისა და რსფსრ ვაუთა გუნდების მატჩის შედეგია 96:77.

28 ნოემბერს გაიმართა მხოლოდ ერთი თამაში—ლიტვისა და მოსკოვის ქალთა გუნდებს შორის. მოსკოველებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 49:46.

ოთხი ტურის შემდეგ ვაუთა გუნდებს შორის წინ არის ლატვის ნაკრები — 3 ქულა 4-დან; ხაქართველოსა და მოსკოვის გუნდებს ორ-ორი ქულა აქვთ ხამიდან, ლატვიას — 2 ქულა 4-დან. ლენინგრადსა და უკრაინას — თითო ქულა ხამიდან, რსფსრ-ის გუნდს — 1 ქულა 4-დან.

ქალთა გუნდებს შორის ლიდერია რსფსრ-ის კალათბურთელთა კოლექტივი — 4 ქულა 4-დან. ლენინგრადელებს 3 ქულა აქვთ ხამიდან.

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲡᲐᲙᲐᲗᲕᲘᲠᲝ** ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა — დონის როსტოვის არმიის სახსორტო კლუბის გუნდი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ეწვია და კაიროში მატჩი ჰქონდა ამ ქვეყნის ნაკრებთან. წარმატება როსტოველებს ხვდათ (2:1).

△ **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ** ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები მალიში იმყოფება. ᲕᲐ. ბამაკოში მას მატჩი ჰქონდა ამ ქვეყნის ნაკრებთან და დამარცხდა 0:1.

△ **ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲨᲘ** გამართულ ძალოსანთა ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდნენ უნგრელი ძალოსნები **ᲘᲛᲠᲔ ᲤᲔᲚᲓᲘ** (ქვემსუბუქი წონა) და **ᲓᲘᲝᲜᲖᲝ ᲕᲔᲠᲔᲨᲘ** (საშუალო წონა). მათ აპიმვაში მსოფლიოს ორი ახალი რეკორდი დაამყარეს. **ᲤᲔᲚᲓᲘᲡ** შედეგია 130,5 კილოგრამი (საკუთარი მიდწევა 2,5 კილოგრამით გაუმჯობესა), ვერეშისა — 163,5 კილოგრამი (2,5 კილოგრამით აღემატება საბჭოთა ძალოსნის Ვ. ᲘᲡᲐᲙᲘᲜᲘᲡ რეკორდს).

△ **ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში საფრანგეთისა და უნგრეთის მეორე ნაკრებ გუნდებს შორის. წარმატება ფრანგებს ხვდათ ანგარიშით 4:1.

△ **ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდი ჩაება ევროპის თასის გათამაშების დასკვნითს ასპარეზობაში. პირველ ფინალურ მატჩში მათი მოწინააღმდეგე იყო პოლონეთის გუნდი. შეხვედრა შედგა ლიმში და დამთავრდა საბჭოთა მოკრივეების გამარჯვებით ანგარიშით 7:3.

△ **ᲑᲐᲙᲘᲡ** ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდას“ კლუბის კლასიკური მოჭიდავეები. გუშინ ჩეხოსლოვაკელ სტუმრებს პაექრობა ჰქონდათ საზოგადოება „დინამოს“ მოჭიდაეთა ნაკრებ გუნდთან. წარმატება დინამოელებს ხვდათ, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 6:2.

ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

ᲐᲛᲘᲛᲠᲐᲪᲘᲐᲜᲘᲡ მოძმე რესპუბლიკების ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ბაქოში დასასრულს უახლოვდება.

მეექვსე ტურში მსოფლიოს ჩემპიონი ნ. ფრანდაშვილი შეხვდა თბილისელ ოსტატობის კანდიდატს ბ. მაჰმუდოვს. მოწინააღმდეგეებმა თავი აარიდეს ზედმეტ რისკს და ფლოლოგებით თანაბარ პოზიციაში ყაიმს დასდეს. ასეთივე შედეგით დამთავრდა ერევანელი ოსტატის ბ. ბრიმორიანისა და თბილისელი ოსტატის ა. ბუსლაევის პარტია.

ერევნელმა ოსტატობის კანდიდატმა ა. ფომინიჩენკომ დაამარცხა ოსტატი ᲗᲘ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔ (თბილისი), ᲔᲚ. ᲑᲠᲘᲛᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡ (ერევანი) — ᲗᲘ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔᲡ